

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
შზსუ-ს მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდაზე რეგისტრაციის წესები

შზსუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტმა განცხადებით უნდა მიმართოს სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების ფაკულტეტს (ოთახი #302) და თან დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
- უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- 2 ფოტო (3X4);
- ფოტო CD დისკზე;
- რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის);
- საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს მისთვის მინიჭებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხისა და ჩაბარებული საგნის გამოცდის შესაბამისი შზსუ-ს გამოცდა;
- გამოცდის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტი.

შზსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების წესი

- შზსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით, ინგლისურ ენაზე, რომლის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 20 ქულას.
- გამოცდა ტარდება 90 წუთის განმავლობაში. გამოცდაზე აპლიკანტმა უნდა დაწეროს 500 სიტყვიანი სამოტივაციო ესსე სადაც უნდა ასახოს პროგრამაზე ჩარიცხვის მოტივაცია, დაასაბუთოს საკუთარი პროფესიული წინსვლისა და განვითარების საჭიროება და განსაზღვროს ამ მიზნის მიღწევის გზები;
- ესეს შეფასების მაქსიმალური ქულა არის 40 და მისი შეფასების კრიტერიუმი განისაზღვრება R17F02-ით;

- საგამოცდო ნამუშევარი მოწმდება შესაბამისი დარგის კომისიის მიერ, რომელიც შედგება სულ მცირე სამი პირისაგან;
- გამოცდის შედეგები აპლიკანტებს ეცნობებათ განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნის გზით, გამოცდის შედეგების მიღებიდან სულ მცირე 1 სამუშაო დღის ვადაში.